

თავი 13**არამატერიალური აქტივების აღრიცხვა – ტესტები****1. ამათგან რომელი შეიძლება იყოს არამატერიალური აქტივი:**

- ა) გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება;
- ბ) ინტელექტუალური საკუთრება;
- გ) კრედიტორული დავალიანება.

2. გუფილი არის:

- ა) იდენტიფიცირებადი, კონტროლირებადი აქტივი;
- ბ) საბუღალტრო ტერმინი, რომელიც ასახავს სიტუაციას, რომლის დროსაც კომპანია ყიდულობს სხვა კომპანიას მის სუფთა იდენტიფიცირებადი აქტივების ნომინალურ საბაზრო ღირებულებაზე მეტი ფასით;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

3. რესურსების კონტროლირებადობის ერთერთი აუცილებელი პირობაა:

- ა) საწარმო თავის უფლებას უნდა იცავდეს მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით;
- ბ) საწარმოს უნდა შეეძლოს რესურსიდან მისაღები სარგებლის სხვების მიერ მიღების შეზღუდვა;
- გ) საკუთრების უფლების ქონა რესურსზე.

4. პატენტით სარგებლობისთვის:

- ა) აუცილებელია მასზე იურიდიული უფლების ქონა;
- ბ) არ არის აუცილებელი უფლების დოკუმენტურად დადასტურება;
- გ) დამოკიდებულია პატენტის მიმღების სურვილზე.

5. ფრანშიზის მიმღები:

- ა) ვალდებულია გაუფრთხილდეს და დაიცვას ფრანშიზის მიმცემი კომპანიის რეპუტაცია;
- ბ) უფლებამოსილია მოითხოვოს დახმარება ფრანშიზის მიმცემი კომპანიისგან ბიზნესის წარმართვაში;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

6. რომელ ფაზაში შეიძლება განისაზღვროს საიმედოდ, რომ საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივი სარგებლის მომტანი იქნება?

- ა) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფაზაში;
- ბ) საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფაზაში;
- გ) შესაძლებელია ორივე ფაზაში.

7. რომელ ერთერთ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს საწარმოში წარმოქმნილი აქტივი აღიარებისთვის:

- ა) უნდა გააჩნდეს გამოყენების ან გაყიდვის უნარი;
- ბ) არ უნდა იყოს კონტროლირებადი;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

8. უნდა აისახოს თუ არა საწარმოში წარმოქმნილი გუდვილი საწარმოს საბალანსო ანგარიშგებაში:

- ა) დიახ, რადგან მის წარმოსაქმნელად გაწეულია დანახარჯი;
- ბ) არა, რადგან მისი თვითღირებულების საიმედოდ განსაზღვრა რთულია;
- გ) არა, რადგან ის არ არის საწარმოს მიერ კონტროლირებადი, იდენტიფიცირებადი აქტივი.

9. როდის შეიძლება დადგეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოების აუცილებლობა:

- ა) საწარმოთა გარდაქმნისას;
- ბ) საწარმოთა გაერთიანებისას;
- გ) საწარმოთა ლიკვიდაციისას.

10. გუდვილის თვითღირებულება საწარმოთა გაერთიანების დროს არის:

- ა) სათაო საწარმოს მიერ ინვესტირებული თანხა შვილობილ საწარმოში;
- ბ) იდენტიფიცირებადი აქტივების საბაზრო ღირებულება;
- გ) სხვაობა საწარმოს შეძენის ღირებულებასა და მისი ნეტო იდენტიფიცირებადი აქტივების ნორმალურ საბაზრო ღირებულებას შორის.

11. რა შემთხვევაში მიიჩნევა არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განუსაზღვრელად:

- ა) როცა უცნობია მისი შესყიდვის ღირებულება;
- ბ) როცა ვერ დგინდება პერიოდის შეზღუდვა, რომლის განმავლობაშიც აქტივი უნდა იყოს რენტაბელური;
- გ) როცა არამატერიალური აქტივი ამორტიზდება.

12. აქტივი, განუსაზღვრელი მომსახურების ვადით:

- ა) ამორტიზდება;
- ბ) არ ამორტიზდება;
- გ) ორივე ვარიანტი შესაძლებელია.

13. არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება არის:

- ა) თანხა, რომელსაც მიიღებდა საწარმო აქტივის გაყიდვიდან, გამოკლებული მის გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები;
- ბ) თავდაპირველ ღირებულებას მინუს ცვეთა;
- გ) თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყიდოს ან გაიცვალოს.

14. არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულება არ უნდა იყოს ნულის ტოლი თუ:

- ა) შეუძლებელია ნარჩენი ღირებულების რეალურად შეფასება;
- ბ) სასარგებლო მომსახურების ვადა დიდია;
- გ) მესამე პირს აღებული აქვს ვალდებულება შეისყიდოს ის.

15. არამატერიალური აქტივის ამორტიზება უნდა დაიწყოს:

- ა) როცა შესაძლებელია მისი ექსპლუატაცია;
- ბ) მისი შესყიდვისთანავე;
- გ) ორივე შემთხვევაში.

16. თუ, ამოწურულია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა:

- ა) არ წყდება მისი ამორტიზაცია;
- ბ) წყდება მისი ამორტიზაცია, თუ ის გასაყიდადაა გამოზნული;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

17. აქტივი, რომელსაც აქვს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა:

- ა) უნდა შემოწმდეს ყოველწლიურად, ხომ არ მოხდა მისი გაუფასურება;
- ბ) უნდა დაერიცხოს ამორტიზაცია;
- გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

18. არამატერიალური აქტივის გადაფასების მეთოდი გულისხმობს:

- ა) საწარმო ჩამოაფასებს აქტივს თუ მოხდა მისი გაუფასურება;
- ბ) საწარმო ასახავს აქტივის გადაფასებული ღირებულებით;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

19. არამატერიალური აქტივის გადაფასებული ღირებულებით აღრიცხვისას, რა შემთხვევაში მცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება:

- ა) თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის აღდგენით ღირებულებაზე;
- ბ) თუ იზრდება აქტივის აღდგენითი ღირებულება;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

20. თუ აღრე ჩამოაფასებული არამატერიალური აქტივის ღირებულება გადაფასების შემდეგ იზრდება, გადაფასებიდან მიღებული მატება:

- ა) აისახება შემოსავლის ანგარიშში;
- ბ) ზრდის აქტივის ღირებულებას;
- გ) ორივე პასუხი სწორია.

21. ინდექსაციის მეთოდი გულისხმობს:

- ა) აქტივის საბალანსო ღირებულება გაუტოლდეს გადაფასებულ ღირებულებას;
- ბ) არ შეიცვალოს აქტივის საბალანსო ღირებულება;
- გ) საბალანსო ღირებულება გაუტოლდეს აღდგენით ღირებულებას.

22. საწარმოს აქვს არამატერიალური აქტივები შემდეგი მონაცემებით: 1) თავდაპირველი ღირებულება - 1.500 ლარი; 2) აკუმულირებული ცვეთა - 400 ლარი; 3) გამოყენების ღირებულება - 1.200 ლარი; 4) გაყიდვის ღირებულება - 1.300 ლარი. საწარმო აქტივების აღრიცხვისას იყენებს თვითღირებულების მოდელს.

მოგეთხოვებათ დაადგინოთ აღდგენითი ღირებულება:

- ა) 1.300 ლარი;
- ბ) 1.200 ლარი;
- გ) 1.500 ლარი.

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა – ამოცანები**ამოცანა N1**

საწარმომ შეიძინა პატენტი 25.000 ლარად. მის შეძენაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 500 ლარი. ფული გაიცა სალაროდან. შეთანხმების საფუძველზე პატენტის თანხის გადახდა მოხდება 6 თვის შემდეგ, წლიური 7 პროცენტით განაკვეთით.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ოპერაცია ბუღალტრულად თუ არ ხდება სესხზე პროცენტის კაპიტალიზაცია.

ამოცანა N2

საწარმომ კუთვნილი შენობის სანაცვლოდ მიიღო არამატერიალური აქტივი – პატენტი, რომლის რეალური ღირებულება 20.000 ლარია. მის მიერ გაცემული აქტივის რეალური ღირებულება 19.000 ლარს შეადგენს, საბალანსო კი 17.000 ლარს. (გაცვლას აქვს კომერციული ხასიათი)

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ოპერაცია ბუღალტრულად.

ამოცანა N3

საწარმომ არამატერიალური აქტივის - რეცეპტის სანაცვლოდ გასცა 50.000 ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარი, რომელზე დარიცხული ცვეთა 5.000 ლარი იყო. არამატერიალურ აქტივთან ერთად მიიღო ფულადი კომპენსაცია სალაროში 10.000 ლარი. შემოსული და გასული აქტივების რეალური ღირებულება უცნობია.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად.

ამოცანა N4

იმპორტიორმა კომპანიამ სახელმწიფოსგან გრანტის საშუალებით მიიღო საიმპორტო ლიცენზია, რომლის რეალური ღირებულება 200 000 ლარია. ლიცენზიის მიღებასთან დაკავშირებულმა პირდაპირმა დანახარჯებმა შეადგინა 5.000 ლარი. თანხა გადარიცხულია საბანკო ანგარიშიდან.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ოპერაცია ბუღალტრულად, თუ კომპანია აქტივს ასახავს რეალური ღირებულებით.

ამოცანა N5

საწარმომ 10 წლის ვადით სახელმწიფოსგან გრანტის სახით მიიღო კონცესია, რომელიც მას მადნეულის მოპოვების ნებას რთავს. კონცესიის ნომინალური ღირებულება 350.000 ლარია, მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები 5.000 ლარი. ფული გადარიცხა საბანკო ანგარიშიდან.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ოპერაცია ბუღალტრულად თუ კომპანია აქტივს ასახავს ნომინალური ღირებულებით.

ამონაწერი №6

„ა“ საწარმომ შეიძინა „ბ“ საწარმო 2.100.000 ლარად. ფული გადაირიცხა ბანკიდან.

„ბ“ საწარმოს აქტივები შეფასებულია შემდეგნაირად:

1. მიწა – 1.000.000 ლარად;
2. შენობები – 500.000 ლარად;
3. მანქანა-დანადგარები – 400.000 ლარად;
4. მოკლევადიანი ვალდებულებები კი 500.000 ლარად.

მოგეთხოვებათ:

ასახლოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად:

ამონაწერი №7

კომპანია „ჯანმრთელობა“ 20.000 ლარად შეიძინა მედიკამენტის წარმოების ლიცენზია 100.000 ფლაკონზე. კომპანიას მარაგის აღრიცხვის პერიოდული სისტემა აქვს და პერიოდის განმავლობაში გამოუშვა 4.000 ფლაკონი.

მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშოთ და ასახოთ ამორტიზაციის დარიცხვა ბუღალტრულად:

ამოცანა N8

საწარმო ახდენს პატენტის გადაფასებას პირველად და იყენებს ინდექსაციის მეთოდს. მონაცემები ასეთია:

1. თვითღირებულება – 50.000 ლარი;
2. ამორტიზაცია – 5.000 ლარი;
3. საბალანსო ღირებულება – 45.000 ლარი;
4. რეალური ღირებულება – 30.000.

მოგეთხოვებათ:

გაიანგარიშოთ გადაფასების შემდეგ აქტივის ღირებულება და ასახოთ ბუღალტრულად.

(ინდექსაციის კოეფიციენტი დაამრგვალოთ მეთოდის სიზუსტით)

ამოცანა N9

საწარმომ გაყიდა არამატერიალური აქტივი – სავაჭრო ნიშანი 7.000 ლარად. შეძენის თვითღირებულება იყო 15.000 ლარი. დარიცხული ამორტიზაცია 10.000 ლარი. ფული ჩამოირიცხა ბანკის ანგარიშზე.

მოგეთხოვებათ:

ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად.

ამონა ნა

საწარმო ნაღდი ანგარიშსწორებით გაყიდა პატენტი 12.000 ლარად. პატენტის თვითღირებულება იყო 14.000 ლარი. აკუმულირებული ამორტიზაცია 1.000 ლარი. გადაფასების რეზერვის ნაშთი 5421 ანგარიშზე 500 ლარი.

მოგეთხოვბათ:

ასახოთ ეს ოპერაცია ბუღალტრულად.